



TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

სხდომის ოქმი № 10/ 2018

თბილისი

7 მაისი 2018 წ.

სხდომის დაწყების დრო: 13.00

სხდომის დასრულების დრო: 13.30

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ვალენტინა საყვარელიძე – აკადემიურის საბჭოს თავმჯდომარე, თჰუ რექტორი;
2. კახი ყურაშვილი (სამართლის ფაკულტეტი);
3. თამარ ლაღიაშვილი (სამართლის ფაკულტეტი);
4. ილონა საყვარელიძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
5. მაკა კაჭარავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
6. ირინა ჯობავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
7. ირმა დიხამინჯია (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
8. მადონა გელაშვილი (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი).

ასევე, თჰუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი გიორგი გახელაძე.
ქვორუმი: 5

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: პროფ. კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

1. „სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ განხილვისა და დამტკიცების შესახებ (მომხ.: პროფ. კ. ყურაშვილი);
2. „აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიისა და შეფასების მექანიზმის“ განხილვისა და დამტკიცების შესახებ (მომხ.: პროფ. კ. ყურაშვილი);
3. „აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებისა და დარგობრივი კომისიების საქმიანობის“ წესის განხილვისა და დამტკიცების შესახებ (მომხ.: პროფ. კ. ყურაშვილი);

1. მოისმინეს: პროფესორ კ. ყურაშვილის ინფორმაცია, რომ ახალი რეგულაციების თამნახმად, უნდა დამტკიცდეს სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის წესი. მომხსენებელმა აღნიშნული წესი დანართი 1-ის სახით წარმოადგინა და წაიკითხა. საბჭომ დეტალურად განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტის ყველა პუნქტი, რის შემდეგაც კ. ყურაშვილმა აღნიშნული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

აზრი გამოთქვა: პროფ. ილონა საყვარელიძემ, პროფ. მ. კაჭარავამ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7, წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია დანართი N1-ის სახით;
2. ეთხოვოს რექტორს ამ გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
3. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

2. მოისმინეს: პროფესორ კ. ყურაშვილის ინფორმაცია, რომ ახალი რეგულაციების თამნახმად, უნდა დამტკიცდეს კიდევ ერთი მარეგულირებელი დოკუმენტი „აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმი“ ,რომელიც მან დანართი 2-ის სახით წარმოადგინა და წაიკითხა. საბჭომ დეტალურად განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტის ყველა პუნქტი, რის შემდეგაც პროფ. კ. ყურაშვილმა აღნიშნული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

აზრი გამოთქვა: პროფ. მ. კაჭარავამ, გ. გახელაძემ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე =7, წინააღმდეგი - 1.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს „აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმი“ დანართი N2-ის სახით;
2. ეთხოვოს რექტორს ამ გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
3. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

3. მოისმინეს: პროფესორ კ. ყურაშვილის ინფორმაცია, რომ ახალი რეგულაციების თამნახმად, ასევე უნდა დამტკიცდეს „აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებისა და დარგობრივი კომისიების საქმიანობის“ წესი. მომხსენებელმა აღნიშნული წესი დანართი 3-ის სახით წარმოადგინა და წაიკითხა. საბჭომ დეტალურად განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტის ყველა პუნქტი, რის შემდეგაც კ. ყურაშვილმა აღნიშნული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

აზრი გამოთქვა: პროფ. მადონა გელაშვილმა , პროფესორმა მაკა კაჭარავამ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 1.


გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს „აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებისა და დარგობრივი კომისიების საქმიანობის“ წესი დანართი N3-ის სახით;
2. ეთხოვოს რექტორს ამ გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
3. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

აკადემიური საბჭოს მდივანი:

კ. სურგულაძე



კ. სურგულაძე

ვ. საყვარელიძე

კ. ყურაშვილი